ფასი ყველგან 10 კაპ.

მასხარა

„მასხარა“ საოხუნჯო მასალების კრებულია. რედაქცია თხოვს თანამშრომლებს, გამოგზავნონ მასალები შემდეგი ადრესით: Контора о-во „Ахалшени“ на дворцовой ул. № 126.

№ 2

ველის ციხის საზოგადობა უღრმესი მწუხარებით აცხადებს ნათესავთა, ნაცნობთა და სამსახურში თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ **მისთვის** უდროოთ გარდაიცვალა ძვირფასი მამასახლისი

დარჩო ისაკოვი.

დამწუხარებულნი ჰირისუფალნი: ლევან შალიაშვილი, ლევან მამისაშვილი და ნასყიდა ვასილოვი.

1—1

გურიის შპიკთა ცენტრალური კომიტეტი გულითადის მწუხრებით აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და ყველა პარტიის წევრებს, რომ 30 თებერვალს კვლავ მოსწყდა ერთი ვარსკვლავი სამშობლოცას და ულმობელმა სიკვდილმა უდროოთ გამოგვგლიჯა ხელიდან დაუღალავი მოღვაწე ოსტავნოი პრაპორშჩიკი **ულვაშაძე**. დაკრძალვის ღღე 31 თებერვალი.

1—1

გამარჯვებული მტარვალი განცხრომაშია...

ახალი ამბები.

10 მარტს, დილის 8 საათზე თფილისში არავინ არ დაუხვრეტიათ.

10 მარტს, დილის 10 საათზე თფილისში არცერთი ტრამვაის ვაგონი არ გაუძარცვავთ.

10 მარტს, შუადღის 12 საათზე ტრამვაის ვაგონს არავინ არ გაუსრესია, არც ფეხები წაუწყვეტია.

10 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე არც ერთი სტამბა არ დაუბეჭდიათ.

10 მარტს, საღამოს 4 საათზე არც ერთი გოროდოვოი არ მოუკლავთ.

10 მარტს, საღამოს 6 საათზე არც ერთი რედაქცია არ გაუჩხრეკიათ.

10 მარტს, საღამოს 8 საათზე არც ერთი გაზეთი არ დაუხურავთ.

10 მარტს, საღამოს 10 საათზე არც ერთი რედაქტორი არ დაუჭერიათ.

სწორეთ საგანგებო დღეა!

ბოკაჩიოს ნოველა.

ეჭვით შეპყრობილი ქმრის დასჯა.

არეცოში ცხოვრობდა მდიდარი კაცი, ტოფანო, რომელსაც ჰყავდა მშვენიერი ცოლი—გიტა. სრულიათ უმიზეზოთ ქმარმა რაღაც საშინელი ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ცოლის საკვიელს. ცოლი მიხვდა ამას და ეკითხებოდა ქმარს, თუ რითი დაიმსახურა მან ასეთი უნდობლობა. რადგანაც ქმარს არ ჰქონდა არავითარი პატივ-სადები საბუთი, ცოლმა ამოიკრა გულში ქმარის იმ სასჯელით დასჯა, რომლის შიშიც მას აეკვიანებდა. ამიტომაც აიჩინა ახალგაზრდა ქალმა ერთი სიმპატიური ყმაწვილი კაცი და ისიც აედევნა მას.

ცოლმა იცოდა, რომ მისი ქმარი ლოთი იყო და როცა მას ღვინო მოუნდებოდა, ერთის მაგიერ ორ ჭიქას ასხამდა პირში და ისიც უგრძნობლათ გაილეშებოდა ხოლმე. ქალს რასაკვირველია ეს უნდოდა: ან თავისთან მიიწვევდა საყვარელს, ან და თითონ ეახლებოდა.

ბოლოს და ბოლოს საბრალო ქმარმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება: მე რომ მათრობს, თითონ რატომ არა სვამსო და, აი, ამან გაუორკეცა ეჭვი. რომ დარწმუნებულიყო ამაში, ერთ საღამოს წვეთი ღვინოც ადარ დალია, მაგრამ საშინელი მთვრალობა კი მოიგონა. ცოლმა ნამდვილ მთვრალათ მიიღო ის და შეუდგა მის ჩადენას, რასაც ჩვეულებრივ ქმრის მთვრალობაში ჩადიოდა. საჩქაროზე მიაგდო ქმარი ლოგინში, ხოლო თითონ კი გასწია თავის საყვარლისაკენ და დარჩა იქ შუაღამემდი.

ტოფანომ ყური მოჰკრა ცოლის წასვლას, წამოდგა ლოგინიდან, მიხურა კარები და ფანჯრიდან დაუწყო თვალის დევნება: აბა, როდის მოვა ჩემი ცოლი, რომ საქვეყნოთ გავაკიცხო იგიო. მართლაც ის იდგა ფანჯარასთან ცოლის დაბრუნებამდე. კარები რომ დარაზული დახვდა, ქალს ბნედა ეცა და ძალით გაღება დაუპირა. კარგა ხანს აცდევინა ტოფანომ მას კარებთან და ბოლოს უთხრა: ამაოდ იწუხებ თავს, ჩემო ქალ-ბატონო—ვერ შემოგიშვებ სახლში, იქავე წაბრძანდი, საიდანაც მობრძანებულხარ და თანაც გახსოვდეს, რომ ჩემ სახლის კარებზე ვერ გადმოაბიჯებ იმ დრომდე, სანამ ყველა მეზობლებისთვის და ნათესავებისთვის თავი არ მომიყრია და მათ წინაშე არ დამისჯიხარ ისეთი სასჯელით, როგორის ღირსიც ხარ.

ცოლმა დაუწყო ვედრება, შემიშვი, არასფერი ცუდი არ ჩამიდენია, მხოლოდ მეზობელთან ვიჯექი და ვერთობოდი მარტოხელობით მოწყენილობისაგან დაუსრულებელ ღამეშიო. მაგრამ ცოლის ვედრება დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. სულელმა ქმარმა ამოიკრა გულში, ვითომც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მისთვის მთელი არეცოს მცხოვრებთათვის შეეტყობინებია ცოლის მოქმედება რომელზედაც არავინ არაფერს არ ფიქრობდა.

თხოვნა-ვედრებამ რომ აღარ გასჭრა, ცოლმა მუქარა დაიწო:

—თუ არ შემიშვებ სახლში, ისეთ საქმეს დაგმართებ, რომ შენზე უბედური კაცი მთელ ქვეყანაზე აღარ მოიპოვებოდესო.

ტოფანო დაეკითხა:

—რა უნდა მიყოვო?

—ვინაიდან მე არ შემიძლია მაგისთანა განკიცხვის გადატანა, რომელსაც შენ მიქადი, ჩვენ ჯაში ჩავარდებიო. იცოდე, რომ ყველა შენ დაგაბრალებს მთვრალობის დროს ჩემს დახრჩობას. ამის მერე შენ ან უნდა გადავარდე სადმე და დასტოვო, თუ რამე გაბადია, ან როგორც მკვლელი თავს უნდა გამოეთხოვო. ჩემი დახრჩობის ბრალი და მკვლელიც განა შენ არ იქნები?! მუქარაც ამაო დარჩა და ცოლმა შესძახა:

—არა, მე აღარ შემიძლია მეტი ტანჯვის ატანა. ღმერთმა ნუ მოგკითხოს. წააღებინე ვისმე ჩემი სართავები, რომელსაც აქვე, კარებთან, ვტოვებ.

ამის თქმა და ჭისაკენ მისი გაქცევა ერთი იყო. ბნელი და უკუნი ღამე იყო. ცოლმა აიღო დიდი ქვა ჯაში ჩაუძახა და შეიძახა:

ღმერთო შემიწყალეო!

ქვის ბგი-ბუგი ტოფანოსაც შემოესმა და იფიქრა: სწორეთ ჩავარდა ჩემი ცოლი ჯაში და იხრჩობაო. წამოავლო ხელი ბაწარ ამომბულ კასრს და გაექანა მისაშველებლად.

კარებთან მიფარებული ცოლი კი ამასობაში სახლში შევარდა მოხურა, კარები და ფანჯრიდან გადმომდგარმა ხმამაღლა დაუწყო ძახილი ქმარს:

—ღვინოში წყალი მაშინ უნდა გაურიო, როცა სვამ და არა მერეო.

ცოლის ამ ძახილზე ტოფანო მიხვდა, რომ იგი მოტყუებულია. მიირბინა კარებთან, მაგრამ დაკეტილი დახვდა და მორთო ყვირილი, გამიღე კარიო. ცოლმაც ხმა აიმაღლა და გაჰკიოდა:

—შე საზიზღარო ლოთო! თუ ღმერთი მწამს, არაფრის გულისთვის არ გაგიღებ ამაღამ კარებს. მეყო მე შენი უკაცურობა! გაიგოს ბარემ დიდმა და პატარამ, თუ რა კაცი ბრძანდები და როდის ინებებ ხოლმე შინ შემობრძანებას.

განრისხებული ტოფანო თვისის მხრით რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიძახოდა ცოლის დანძღვა-გინებას. ამ ხმაურობაზე წამოცვივდენ ლოგინიდან მეზობლები—ქალი და კაცი, დიდი და პატარა და ფანჯრებთან თავ-მოყრილნი ეკითხებოდენ ერთმანერთს, თუ რას მოასწავებდა ყოველივე ეს. თვალ-ცრემლიანი გიტა უპასუხებდა მათ:—შეხედეთ ამ საძაგელს—ყოველ ღამ მობრძანდება შინ ან გალეშებული, ანაც სადმე სამიკიტნოში გამოძინებული და მობრძანდება ხოლმე როგორც ახლა გათენების დროს. დიდ ხანს ვითმინე, მეგონა, [illegible] მაგრამ მან უმატა და მე მეტის გადატანა ველარ შევიძელი. ამიტომ განვიზრახე, რომ სირცხვილი მეჭმია. იქნებ ამ ხერხმა მაინც მოაქციოს.

სულელი ტოფანო კი სულ სხვაფერ ხსნიდა ამ ისტორიას და თან აყრიდ ცოლს ღანძღვასა და მუქარას.

ცოლი კი უმეორებდა მეზობლებს:

—არ ატყობთ განა, თუ რა კაცი ბრძანდება ეს ვაჟბატონი?! რომ ქუჩაში მე ვიდგე და არა ეგ—ხომ ყველა დაიჯერებდა მაგ ცილის წამებას და მომეტრებოდა თავი?! ყველა მაგის ლანღვისაგან თქვენ შეგიძლიათ მიხვდეთ, თუ რა მდგომარეობაში ბრძანდება. თავის დანაშაულს მე მცხებს. ჩემს გამოსატდელად განგებ ჩააგდო ჯაში უშველებელი ქვა. მე ძალიანაც არ ვინანებდი, რომ მართლ ჩავარდნილიყო ჯაში და ჩამხჩვარიყო. რა უშავდა: წყალში ღვინოს გაურევდა, რომელსაც ბუზივით ეხრჩობა.

ყველამ—დიდმა და პატარამ ტოფანოს დაუწყო კიცხვა და არცხვენდენ, რომ ასე უსაფუძვლოდ ათახსირებდა თავის ცოლს. ცოლის ნათესავებამდინაც მიაღწია ამ ამბავმა, მოცვივდენ და კარგათაც ააყოლეს ტოფანოს გვერდებში. ცოლის თუ რამე იყო იმ სახლში, ყველაფერი გაზიდეს, ქალიც წაიყვანეს. ტოფანოს კი საშინელ სასჯელს შეჰპირდენ.

ახლა კი დარწმუნდა ტოფანო, რომ ცოლზე იქვიანობამ ვერაფერი სარგებლობა მოუტანა. ცოლი მას მეტად უყვარდა; მიადგა ისევ თავის მეგობრებს და მათი დახმაოებით გამოაწყო საქმე —ცოლი უკანვე დაიბრუნა. ხოლო ცოლს მისცა ფიცი-მტკიცი, რომ ამიერიდან არავითარ იქვიანობას გულში არ გაიღებს, რომ რაც ენებოს ცოლს, ის ჩაედინა, მხოლოდ მისთვის თვალსაჩინო არ ყოფილიყო.

კრიჭა.

ცალ-ყურიანი.

(დრამა I მოქმედებათ).

მომქმედნი პირნი { **თავადი ნიუარაძე.** **პორუჩიკი კოზლოვი.**

მომხდარა ესე ამბავი
პეტრეს ქალაქის ზღუდესა,
ნაშუადამევს. „ევროპის“
„სტუმართა დასაყუდესა«
მუნ, აფიცერთა მეჯლისი
ჰქონიათ. (როგორც წესია)
მეჯლიშს კი მოჰყვა კამათი:
„ვისთვის რა უკეთესია!“

თავადი ნიუარაძე.
წარჩინებულნო მხედარნო!
მცირედ მათხოვეთ ყურია.
მოგითხრობთ: ჩემსა სამშობლოს
რაც სტკივა, რაცა სწყურია.
ჩვენში ბევრია მამული
სახნავ სათესი, ტყიანი,
და საძოვარი, მუხლამდე
აბრეშუმ ბალახიანი.
ბევრია ბაღი, ვენახი,
ნავთიც მდინარეთ სდენია
შავ-ქვას და ქვისა ნახშირსა
ვერც მოლევთ იმოდენია.
კახური ღვინო ფერადი
ყელს რომ ჩაფერავს წითლათა,
რამდენიც გინდა დალიე
ნაკურთხი ქრისტეს სისხლათა.
დიახ... ჩემს ტურფა სამშობლოს
ბუნება უხვად სწყალობდა
არ ქონდა ზამთარ-ზაფხული
მუდამ ბულბული გალობდა.
ძველათგან ჩვენი გლეხკაცი
ბატონის მზესა ფიცავდა,
მისი ყმა იყო ერთგული
მის ინტერესებს იცავდა.
ახლაც კი ღრმანი მოხუცნი
ძველს დანატრიან დროებას
მასზე თამამად გაცვლიან
მომავლის ამაოებას.
დღეს მთელი ჩვენი ივერი
მხოლოდ ერთისა მდომია:
ის სიზმარ-ცხადში ოცნებობს
მიეცეს ავტონომია.

კოზლოვი. შესდეგ ფიცისა გამტეხო,
რუსეთის გამყიდველნო,
ავტონომიას სიზმრადაც
ვერ ნახავს საქართველნო.

—

აქ პორუჩიკმა იშიშვლა
სახმილი ენა ფხიანი
დაჭკრა და ყურსა თავადს
საგრძნობი მისცა ზიანი.
თავადმაც იძრო დამბაჩა
წელშიგან გასარჭობელი
სახელო წაიკაპიწა
დედა ახსენა მშობელი,
დაადო, მკერდსა მიარტყა
ყურშუმი ორი ცალია
და პორუჩიკმა იმ ჟამად
კინაღამ სული დალია.
ასე გათავდა ეს დრამა
წყეული, ხიფათიანი!!!

ორივე მებრძოლთ მიადგათ
თავ-თავის წილი ზიანი:
ავტონომიის სანაცვლოთ
თავადს მოჭკვეთეს ყურია...
და ვფიქრობ იგი კაზლოვიც
იქნება უმადურია!!..
მამულისათვის ტანჯული
ცრემლებით, ხმითა მწვავითა.
საქვეყნოთ მოსთქვამს თავადი
ცალ ყურიანი თავითა:
„ჩემო ძვირფასო მამულო
მსხვერპლათ შეგწირე ყურიო
მე დავრჩი ცალის ამარა
ბედისა უმადურიო.
ყური შეგწირე, რა ყური
ავ თვალს არ ენახვებოდა
სიმსუქნე სიდიდისაგან
თავთავქვე იზნიქებოდა.

ეშმაკი.

ბაბილონის დამხობა.

* * *

თუ აროდეს გიკითხავს
არც წიგნი, არც წიგნაკი,
პირფერობით კი გითქვამს:
„ეჰ, საწყალი მუშაკი!!!“
თუ სიზმრათ არ გინახავს
ცალი პროკლამაცია
„პატრიოტიც“ ბრძანდები,
ვითომ გიყვარს ნაცია,
თუ თმას წმინდათ იკრეჭავ,
ხელზე „დუხებსაც“ ისვამ,
ქულაჯაში მორთული
წითელ პერანგს არ იცვამ.
თუ „დიდ სამსახურში“ ხარ
და ფულებს ხვეტ მოხელე,
მიტინგებს არ ესწრები,
შინ გიყვარს სისულელე;

თუ როგორც „ხარისხოვანს“
სოფლათ არც კი გივლია,
გლეხ-კაცთა დახმარება
გულშიც არ გაგივლია,
თუ მუდამ გიწერია.
მხოლოდ ცილის-წამება
თუ არ იცი: ციხე კაცს
აწყენს თუ იამება...
თუ საჭმელი ბგონია
პროლეტარიზაცია,
ქვეყნის დამამხობელათ
გწამს ცენტრალიზაცია,
იცოდე ვერ გახდები
შენ ხალხის დეპუტატი
რადგან ხარ: **ფედერალისტ**
ბურჟუა-დემოკრატი.“

ესეც ერთი.



ნაცარ-ქექია.

(უძღვნი ი. ნაკაშიძეს.)

კეთილი გულით მოძღვნილი
მცირედიც შეიწირების.

თავი პირველი.

მო, ყური უგდეთ მოყმენო
ამა ზღაპრისა თხრობასა...
გიამბობთ: ნაცარ-ქექიას
უზომო გულადობასა.
ხელობათ ქექა ნაცრისა
არ არის ხიფათიანი...
მტვერთა ყლაპვაში განსწავლულს
აროდეს მისცეს ზიანი.
და ჩვენი ნაცარ-ქექიაც
იჯდა ცეცხლისა პირათა...
მტრის რისხვა... მოყვრის ნუგეში...
გამოჩნდებოდის ძვირათა.
ავტონომიურ მჯდომარე
დღე მუდამ ნაცარს ქექავდა
და ამდგარ კორიანტელზე
ირგვლივ ვერაფერს ხედავდა.
ძალა მის თვალთა ხედვისა
კერას ვერ გასცილებოდა.
სწუხდა, ამ მცირე ადგილზეც
არავინ შესცილებოდა.
ეს იყო მისი „სამშობლო“!!
მისი ძვირფასი ქვეყანა!!..
(„ბუნებრივია“ და მასაც
ეს დასკვნა გამოეყვანა.)
სამშობლო ნაცრის ზღუდეში
თავს არხეინათ გულობდა...
ხან მთელი კვირე ეძინა,
ხან რჯულზე მხიარულობდა...

მოყმეთა ომი მქექავმა
შეიტყო ერთობ გვიანა,
და გალშქრება მტერზედან
უზომოთ დაიგვიანა.
მაგამ როდესაც ჩაესმა
ყურთა ყიჟინა ბრძოლისა,
ზრახვად განიელო დაგდება
ნაცარში თბილად წოლისა.
მყისვე განშორდა „მებრძოლი“
საყვარელ მშობელ არესა
და გაემართა მოძღვართან
„ველსა მას მონარნარესა“.[1])
მუნ დარჩა ხანი მცირედი
და განისწავლა ფრიადა...
(სიყმითვე დაუცხრომელმან
კვლავ გულნი განიზვიადა)
ცა ქუდათ ევიწროება,
ქვეყანა ქალამანათა!!.
მარქსის „გაყინულ“ მოძღვრებას
არ იჩნევს ანა-ბანათა!!!!...
დაბრუნდა მუნით ქადაგი
ველისა მონარნარისა,
და ვინ იფიქრებს თუ იგი
ნაცრ-ქექია არისა?!!
ღიღად ჰყო: „ყმანო, მისმინეთ!
ნუ ებრძვით ბოროტებასო[2])
ბრძოლით თქვნ ხეირს ვერ ნახავთ
განიცდით მხოლოდ ვნებასო.“
ხალხმაც ახედა... დახედა...
სთქვა: ვინ მოსულა ესაო,

ამ რჯულის მქადაგებელი
ჩვენთან ვინ გააწესაო.
ჩვენ სულს გვიხუთავს მტარვალი
ბორტი, უნდობელიო
და აგი უცხო არსება
გვირჩევს არ დავსძრათ ხელიო.
ამბობს: „ბოროტსა ნუ ებრძვით!“
აბა, უჩვენეთ კარიო!..
ცხადათ გვატყუებს... უთუოდ
ნაცარ-ქექია არიო.“
„ბრძენის“ თქმულება ამგვარათ
მოყმესა არა სჯეროდა
და ჩვენი ნაცარ-ქექიაც
უზომოთ განიბეროდა.
შესწუხდა, მაგრამ მოძღვართან
არ მიქცეულა კვალათა...
ისევე თავის საყვარელ
ნაცარში მოიკალათა.
იჯდა უძრავათ მამულში
შვიდი დღე, შვიდი ღამეა...
არც უძინია ამხანად,
არც უსვამს, არც უჭამია.
მოყმენი კვლად ომობდენ
მთებში და მინდორ-ბარათა...
იწოდა დაბა-ქალაქი...
სისხლი სდიოდა ღვარათა!..
ნაცარ-ქექიას ამაზე
თვალთაგან ცრემლი სდიოდა...
ტვინსაც სტანჯავდის... (თუმცაღა
არარა გამოდიოდა!!)
(ძნელია აზრთა მოკრეფა
მართ ოდენ თავში ძვირობდეს...
ნაცარ-ქექიაც ამგვარსა
რიგია საქმეს კვირობდეს.)

[1]) ასე გადმოსადუნდება (ითარგმნება) სახოკიას ქართულით სოფელი „Ясная Поляна.“

[2]) ასე ითარგმნება ნაცარ-ქექიას ლოზუნგი „Непротивленіе злу.

მარხვისა დღესა მეშვიდეს
ნაცართა შიგან მჯდომარე,
ნათელით გაბრწყინდებოდის
სახე მონისა მდუმარე!..
დაასკვნა: „ესე მოყმენი
უომრათ ვერა სძლებენო
და სიკეთესთან ბრძოლასა
უთუოდ მიიღებენო.“
უზომო ჰქონდა მქეჯასა
„მოძღვრობის“ სურვილ-მადანი,
მაგრამ საჭირო ამისთვის
თავშიგან აკლდა საგანი.
„ქადისა ჭამას რა უნდა,
თუ ოდეს გული გულობდეს!“
მოხდება ნაცარ-ქექიაც
ქვეყანათ რომ მოციქულობდეს.
ამხედრდა ჩვენი რაინდი
მოყმეთა დასაცხრობვლათ...
მიდის სოფელში, **„ახალი“**
სიბრძნისა მოსათხრობელათ.
ჯოხისა ჰუნეს[3]) მჯდომარეს
თავი მერანზე ჰგონია!!!
(ჯოჯოხეთს ვფიცავ! ზღაპრადაც
ეს არსად გამიგონია!!)
„დაცინვის ფიშტო“ მრისხანეს
მხარზე ჰკიდია ცალათა...
დაცინვით გაიტენების
და დაიქუხებს მყრალათა
ხელთა უპყრია „დურბინდი“
მწარე ხაპისა[4]) ნაკვეთი!!
„ჯადოსნურ-ეშმაკეული“
გასახედ გამოსახედი.
ხან ცხვირს მიადებს „დურბინდსა“
ხან კბილებს, ხანაც ყურებსა,
ხოლო განუჭვრეტს მარადის
„პარტიულ ინდოურებსა“.
მოზრდილთა ყურთა ეყრდნობის
„ბასრი დაცინვის ნესტარი“
ვისაც შესტყორცნის განგმირავს,
ჩვენი „უებრო მხედარი“...
რაც არ უნახავს ქვეყანას
დღეს ხედვენ ჩვენი თვალები,—
ნაცარ-ქექიას წყალობით...
(მის სახელს ვენაცვალები!)
თავისა ქალას სპეტაკსა
მას უმკობს ვარაყიანი,
„ამერიკული რეკლამა“
შინაარს ბარაქიანი!!!
თხის ბალნით დანაგრეხავი
საბელი ება ყელზედა
და ძმასა (მისსა უმცირესს)
ეგრე დაჰყავდის ხელზედა.
ცქერათ გადიქცა ქვეყანა!!.
მოხუცი, დიდი, პატარა...
პავლემაც ძმაი უფროსი
აატარ ჩამოატრა.
ჯერ არ ენახათ რეკლამა
თავზედან აღნბეჭდავი.
და იძახოდენ ვაჭრები:
„დაგვიდგებოდეს ნეტავი!!!“
„დავაწერავდით გოგრაზე:
„ტაბაკუ, პაპიროსაო“,
იქნებ ცოტა რამ გვევაჭრა
ამ ქესატობის დროსაო“.
წარგზავნეს „ძმებთან“ დესპანი,
მოციქულ-შუა-მავალი
ხვეწნა ვედრების გარეშე
ფულიც აძლიეს მრავალი...
მაგრამა ვერა აცდუნეს
გეშეფტის მოყვარულებმა!!!
(პარტიულ აზრთა სიწმინდე
ვითარ დასძლიოს ფულებმა?!)
თუმცა ხშირია: „მებრძოლი“
განიცდის აზრთა დენასა...
დღეს ერთსა უბნობს, ხვალე სხვას,
შაურათ ყიდის რწმენასა.
მაგვარი რამე ჩვენ გმირსა
არა რა შეეწამების;
აქვს რწმენა თვისთა დევიზთა
„ვით განუყრელი სამების“
იცოდენ მისი სიკერპე
და არ ხმარობდენ ძალასა,
რისთვისაც ნაცარ-ქექია
ფლობდა თავისა ქალასა.
ზედ აღბეჭდა, რაც ეთქვა
პარტიულ მისწრაფებასა...
გულს ახარებდა ამითი,
სულს ანიჭებდა შვებასა.
ხალხი კი ძალზე კვირობდა,
(უმეტეს წანაწერითა)
სიცილ ხარხარით დასდევდენ
ვერა ძლებოდენ ცქერითა.

ეშმაკი.

(შემდეგი იქნება)

[3]) გოგრას გურიაში ხაპს ეძახიან,
[4]) ჰუნე ცხენს ეწოდება.

ჭეშმარიტ რუსთა კავშირის ვექილი
ეუბნება ხულიგანს
შენ დარდი ნუ გაქვს, ჩვენმა პატრიოტულმა ორგანიზაციამ თავის თავზე მიიღო შენ მომავალზე ზრუნვა.

დუმა და ხალხი.

ჭეშმარიტ რუსთა კავშ. დეპუტატ ილეოდორეს.

საროვი. პატივცემულ მოძღვარ ილეოდორეს! წმინდაო მამაო! მიწის ძვრისაგან ჩამოინგრა პატარა მაღლობი და ნაშავებში გამოჩნდა წმინდანის ძვლები. ძვლები სასწაულთ მოქმედია. შემოწირულებას ვიღებთ. არ ვიცით, ეს რომელი წმინდანის ნაშთია. სოფლის მასწავლებელი ამბობს, ეს ოთხფეხის ძვლებია, კაცისას არა გავსო და პოლიციამ დაიჭირა ღვთის გმობისთვის. გთხოვთ დუმის ამბიონიდან ამცნოთ რუსეთის მორწმუნეთ ეს ახალი სასწაული და შეგვატყობინოთ რა სახელი დავარქვათ წმინდანს.

მღვდელი **ანიკიფორი.**

სოციალ-ქრისტიან-ხულიგანთა ფრაქციის ლიდერს პოვოლაკი კრუშევანს.

ოდესა. დღეს 47 სტუდენტი გავლახეთ. 23 ურიის დუქანი გავძარცვეთ. თეთრი გვარდია სალამს გიძღვნის შავი ზღვის პირიდან. გაუმარჯოს კრუშევანს.

გრაფი კონოვნიცინი.

კიევის ლავრა. ჩვენთან არს უფალი!!! ეს პირველი სასწაულია, რომ დუმის ჭერი იმ მხარეზე ჩამოინგრა, სადაც ოპოზიციონერები სხედან. მუსრი ურიებს!.. ერთმა ახალგაზრდა მორჩილმა[1]) ახალი სისტემის სახრჩობელა გამოიგონა. გთხოვთ გეგმა გააცნოთ სტოლიპინს.

ქუთაისი. პატივცემულო პოვოლაკი! თუმცა ჩვენ არა ვართ „ჭეშმარიტი“ რუსები, მაგრამ ჭეშმარიტ ხულიგანობას ვერავინ წაგვართმევს. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მინისტრ-პოლიციმეისტერის წინაშე, რომ იმ სამასი მანეთის მათრახებიდან, რომელიც ახლა უნდა შეიძინონ, ასიოდე ჩვენც გვარგუნონ. აგრეთვე გთხოვთ გვაცნობოთ როგორ აწყობდით ხოლმე ქ. კიშინევში და სხვაგან თქვენ სანაქებო პოგრომებს. ურიები ჩვენც გვყავანან და რატომ არ უნდა ვცადოთ ბედი?!

დავშთებით მარადის თქვენი ბოქაულები: **ლავრენტი მახარაძე. მიქიაშვილი, კედია, მაყაშვილი, ცომაია, გორგოშიძე და სხვანი და სხვანი და სხვანი.**

სამედიატორო სამართალი.

სად. მიხაილოვი. ახლო მომავალში აქ გაირჩევა ფრიად საინტერესო საქმე. ადგილობრივი მოღვაწე **ჩარხიშვილი** და **მუატი** ერთმანეთს შეეჯიბრენ: **რომელი უკეთ ძარცვავთ რკინის გზასო.** საქმე გამწვავდა. თუ კითხვას ასე დავაყენებთ, მაშინ იმედია მუატი გაიმარჯვებს. ვინაიდან გამოირკვა, (და ამას გამორკვევაც არ უნდოდა) რომ ჩარხიშვილი, როგორც გამოჩარხული კასირი, მხოლოდ პასაჟირებს ძარცვავს და ისიც **უბრალო** პასაჟირებს. ვნახოთ მაინც რა განაჩენს გამოიტანენ მედიატორები.

[1]) **მორჩილი.** ბერის უმდაბლესი ხარისხი.



ოხ, ღმერთო! სად დავემალო ამდენ ჯაშუშებს!..

—ახლა წაბრძანდით ბატონებო და მეორეთ აღარ შეცოდოთ.

—ნება გვიბოძეთ გკითხოთ, მე რისთვის ვიყავი დაპატიმრებული?

—ეკვით.

—მე?

—შეცდომით.

—მე?

—გამოურკვეველ მიზეზებისა გამო.

გოდება გიუროკრატისა.

რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე...
რა დღეს მოვესწარ ამასა!..
ნეტავი არცა გავზრდოდი
ჩემს დედას, ჩემსა მამასა...
ბატონს ბატონათ არ მცნობენ,
ქვეყანა გადაირია...
ყველგან „კრამოლა“ მძვინვარებს
უკურნებელი ჭირია!..
შევსძარი ექიმბაშები
ვერ აღმოუფხარ ძირია!..
მეკარგვის ძველი დიდება
ამას მოესთქვამ და ვსტირია...
პირველმა დუმამ „ნესტარი“
მკრა გამიღრმავა წულულია,
მისთვისაც გავაპანღურე
როცა ვიხელთე ფულია.
მეორე დუმის მოწვევა
სტოლიპინს მივანდევია
თუმც სანეტარო მიზანსა
ვერც ამან მიმახწევია.
მეორე, როგორც პირველი
შფოთიან ჭირვეულია
„მიწა და თავისუფლება“
ყვირის. გაწყალდა გულია...
ოხ, ნეტავ ძალი შემწევდეს
წიხლი ამოვკრა ამასა,
ძლევა მოსილი წარვუდგე
ნეტარ ხსენებულ მამასა.
ნეტავი ვიტე სადა გვყავს,
რომ აღარ ანძრევს ენასა,
ნუ თუ ვერ ხედავს ამ ჩვენთა
თვალთაგან ცრემლთა დენასა?!
რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე,
რა დღეს მოვესწარ ამასა,
ნეტავი აღარ გავზრდოდი,
ჩემს დედას, ჩემსა მამასა.

ბელაძე.

პროვინციის ამბები.

ქუთაისი. მთელი ქალაქი გლოვობს თავად ნიჟარაძის უდროოთ მოკვეთილ ყურს. ცხენდარს ქუთაისში ჩამოასვენებენ და საფიჩხიაზე დაკრძალავენ.

—

ბათუმი. ქალაქის გამგეობამ განიხილა აპარლების თხოვნა: „ნება მიეცეს მათ გზაფხულზე საქონელი ბათუმის ქუჩებში ჩამორეკონ საბალახოთ, ან გასათბათ დაანებონ მათ მთავარი ქუჩები“ და უარი უთხრა.

—

ფოთი. ამ დღეებში მოხდა ვაჭართა კრება, რომელმაც დაადგინა წინადადება მიეცეს მთავრობას მოსპონ 15 ნოემბრის კანონი და რამოდენიმე ფოთელი ნოქარი იაკუტის გუბერნიაში გადაასახლოს. კრებას თავმჯდომარეობდენ კოსტ. რუხაძე და ანდ. ყვანია.

—

სოხუმი. მას შემდეგ რაც ჩვენმა ქალაქის თავმა ოზურგეთ-ნატანების რკინის გზა გაიყვანა, მას მოსვენებას არ აძლევს დიადი აზრი სოხუმი ფოთის შტოს შეერთოს რკინის გზით და ერთი პარავოზი აქაც დააკივლოს.

—

სამეგრელო. რამოდენიმე დღის წინათ კოწია ცომაიას სიზმარი უნახავს: ვითომ ის ისევ მედავითნეთ აღკვეცილიყო ყოველად სამღვდელო ბესარიონთან. ამ სიზმარს ძლიერ დაუფიქრებია.

სიღნაღი. ჩვენებურ ტუსაღების ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ალბათ დიდმარხვის პატივით აღარც აკმევენ, აღარც ასმევენ, არც ტანზე აცმევენ, არც წამაღს აძლევენ, არც გაზეთს ~~[illegible]~~ თხვენ, არც აბანოში მიჰყავთ, ხოლო ლანძღვა გინება უფასო და დაუსრულებელი აქვთ თვით ციხის უფროსისაგან.

ფშავეთი. მთელი ქვეყანა რომ გადაბრუნდეს ფშავეთის შენძრევა არ იქნება. ჩვენი მაგარი ბურჯი ლ. რაზიკაშვილი ასე ადვილათ არ შემოუშვებს აქეთ.

ახალ აზრებს
„გამრყვნელ“ აზრებს.

ამიტომაც ფშაველი ჯერ კიდევ მტკიცედ დგას ძველ ყაიდაზე.

—

ოზურგეთი. დღეს, დილის 11 საათსა და 27 წუთზე ქალაქის ბაღში დანიშნულია გურიის ჯაშუშთა პარტიული სიეზდი, რომელზედაც პარტიის ლიდერი **ექვსთავლაძე** რეფერატს წაიკითხავს. სიეზდზე განიხილავენ შემდეგ საკირ-ბოროტო კითხვებს: 1) მოხსენება და მოწონება გასული წლის მოქმედებისა, 2) ტაქტიკა დუმის მოქმედებისა და გაუქმების დროს, 3) დამტკიცება მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვისა.

—

იქიდანვე. 25 თებერვალს ქუთაისში „ეტაპით“ გაგზავნეს ამას წინათ დაპატიმრებული: დონაძე, შავიშვილი და წუწუნავა. როგორც ხმა დადის ამათ ბომბების კეთებას აბრალებენ.

იქიდან. ადგილობრივ სამაზრო სამმართველოს გაჩხრეკის დროს აღმოუჩენიათ: $783\frac{1}{2}$ გატენილი ბომბი, 100 ვინტოვკა და მრავალი ასაფეთქებელი მასალა. ამისათვის მთელი ოზურგეთის პოლიცია, როგორც „არა საიმედო", ოზურგეთის პოლიციას არხანგელის გუბერნიაში გადაუსახლებია სამხედრო წესების მოხსნამდე.

—

ჭიათურა. შავი ქვის მრეწველთა საბჭოს აწ უკვე გაძევებულ წევრს ბ-ნ მოსეშვილს, კვლავ სურვილი აქვს კენჭი იყაროს ალ. გამრეკელის ადგილზე, რომელსაც ახლო მომავალში გააძევებენ. ხმა დადის მოსამსახურეებს ტყვილათ გაუძევებიათ მოსეშვილი, ვინაიდან მას „მექრთამეობის" მეტი არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა თურმე და ისიც ერთ კაცს სცოდნია. ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის!...

—

დიდი ჯიხაიში. (ქუთაისის მაზრა) ჩვენ ბიბლიოთეკას კუჭის ანთება გაუჩნდა და მომვლელი არა ვინ ყავს. ქალბატონები, რომლებიც გამგეთ ითვლებიან ახლოს არ გვეკარებიან. ერთმა მათგანმა შიშით ბაქოსაკენაც კი მოკურცხლა, მე თუმცა ბიბლიოთეკა ხანახევროთ დაკეტილი მაქვს და კვირაში მხოლოდ ერთ დღეს ვაღებ, მაგრამ მაინც ვშიშობ სენი არ გადამედოს. ნიშნებს ეხლვე ვატყობ.

ბიბლიოთეკარი **ივანე ცქიტიშვილი.**

—

იქიდანვე. საქვეყნოთ პროტესტს ვუცხადებ დიდი-ჯიხაიშის ქსენონის გამგეთ. შეიძლება ქსენონი ღარიბებისათვის სასარგებლოა, მაგრამ ჩემს ჯიბეს ამით საგრძნობელი ზარალი მოსდის; ფულები კი საჭიროა რადგან ქუთაისში შენობას ვაშენებ. წინადადებას ვიძლევი დაკეტონ ქსენონი.

აფთიაქარი **ბესარიონ ჩომახიძე.**

დეპეშები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან.)

პეტერბურგი. მთავრობა, კამარილა, კაბინეტი, დეპუტატები და დუმა, ყველანი **ტუპიკს** მივადექით.

ნემეზიდაშვილი.

პეტერბურგი. დუმის დარბაზის ჩამონგრევის შემდეგ მემარცხენე დეპუტატები მიხვდნენ თუ რას უნდა მოელოდნენ **ზევიდან.**

ოზურგეთი. დღეს 31 თებერვალს დაკრძალეს ყველასაგან ცნობილი მოღვაწე „უ ლ ვ ა შ ა ძ ე" დასაფლავებას უთვალავი ხალხი დაესწრო გრძნობით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვეს: ექადია—მაკვანეთის მთავარ-ეპისკოპოზმა მამა მელქისედეკმა და ცნობილმა ორატორმა „ექვსთვალაძემ." მუზიკა უკრავდა სამგლოვიარო მარშს: „შენ მსხვერპლი გახდი კრამოლნიკების." ხალხი ცხარე ცრემლით სტიროდა. **„ვაი, ვაი, ვაიო".**

სამძიმრის დეპეშა.

გულით ვსწუხვარ, სულით ვიტანჯები, აზრი მერევა, სისხლი ყელში მადგება, როცა წარმოვიდგენ, რომ ჩვენი ძვირფასი „ულვაშაძე" არა გვყავს. ვსწუხვარ, რომ სამარემდე ვერ მივაცილე, მაგრამ ყველანი ხომ სიკვდილის შვილები ვართ. ვეამბორები შენს პატიოსან გვამს.

იაშა ბოქაული.

ამაღლება. ცნობილი ჯიბლაძე, ძმის გაცემისა და ხალხის აწიოკებისათვის უმაღლესათ წარდგენილია ამაღლების გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე.

ანეკდოტები.

—

პატიოსანი სიტყვა.

ჩინოვნიკი ეხვეწება ხაზინადარს, რომ მისცეს მას ჯამაგირი წინ და წინ.

—გთხოვთ ბ-ნო ხაზინადარო! გეფიცებით, ეს ჩემთვის აუცილებელია.

—არ შემიძლია, ჩემო კეთილო—არაფრის გზრით არ შემიძლია. თითონ გასაჯე! შარშან ივან ივანიჩმა წაიღო ჯამაგირი წინდაწინ და ორი დღის შემდეგ კი მოკვდა! ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა!!.

—ნუ თუ, ივან პავლოვიჩ. ფიქრობთ, რომ მეც მაგისთანა უსვინდისობას ჩავიდენ?..

საავადმყოფოში.

—როგორ არიან ავადმყოფები, ეკითხება ექიმი.

—ცხრა კაცი წუხელ გარდაიცვალა, უპასუხა ფერშალმა.

—ვითომ? მე როგორც მახსოვს ათ ავადმყოფს გამოუწერე წამალი?

—დიახ ათს, მაგრამ მეათემ წამალი არ დალია.

ხვალ მოგახსენებთ.

ერთი პოლკოვნიკი ძლიერ სდევნიდა ლოთ სალდათებს. ამიტომ გამოუცხადა მათ, რომ თუ ვინმე დაითრებოდა, მეორე დღესვე მისთვის მოეხსენებია ეს. ერთ მშვენიერ დღეს მათ კეთილშობილებას გამოეცხადა მთვრალი სალდათი.

—მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენო კეთილშობილებავ, რომ გუშინ მე მთვრალი ვიყავი.

—შენ, შე მხეცო, დღესაც მთვრალი ხარ!

—აგრე გახლავს თქვენო კეთილშობილებავ, მაგრამ ამის შესახებ ხვალ მოგახსენებთ.

—

აფიცერმა სამსახურში წასვლის წინ უბრძანა დენშჩიკს, სადილათ ქათამი დაეკლა.

—რომელს მიბრძანებთ, თქვენო კეთილ შობილებავ.

—აი, ის ჭრელი ქათამი დაკალი, რადაცა სულ ცალკე დადის და დაიკარგება.

—მესმის, თქვენო კეთილშობილებავ.

აფიცერმა გაათავა სამსახური და შინ დაბრუნდა.

—სიდოროვ! სადილი მზათ არი?

—არ გახლავთ, თქვენო კეთილშობ...

—ქათამი არ დაკალი?

—არა, თქვენო კეთილშობილებავ.

—აკი მე გიბძანე, რომ დაგეკლა.

—არ შეიძლებოდა, თქვენო კეთილშობილებავ.

—რატომ არ შეიძლებოდა!

—მიტომ, თქვენო კეთილშობილებავ, რომ ჩვენ ქათამს გენერლის მამალი ეარშიყებოდა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი.

საჭიროა გამოცდილი სტატისტიკოსი

იმის გამოსაკვლევათ თუ **რამდენი უდანაშაულო გლეხი** გადაასახლა გორის მაზრის უფროსმა რუსეთის შორეულ გუბერნიებში.

მრავალი წლით **გამოცდილი სპეციალისტები,** ვასწავლით „ჯაშუშობას." როგორც **თეორეტიულათ** აგრეთვე **პრაქტიკულად,** ძლიერ ჩქარა და ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში. ვკისრულობთ აგრეთვე ალაგების შოვნასაც.

პატივის ცემით: მიტრო, ნიკო, ვანო, იაშა და სხ.

საჭიროა ოზურგეთის პოლიციაში მუნჯი, ბრმა და კუტი ჩინოვნიკები. მსურველთ სთხოვენ ჩქარა აცნობონ.

დაიკარგა **პოლიციის ბოქაული იასონ მელაძე,** მნახველს მიეცემა 500[1] მანეთი.

[1] ეს იმ შემთხვევაში, თუ ცოცხლად იპოვიან, რაც შეეხება გვამს ბოქაულისას, ის გაცილებით მეტ ფასში გადის. **ეშმაკი.**



აკაკის მოგზაურობა.

(„ხუმარას“ რედაქციიდან მეტეხამდინ.)

როგორ იცავენ **პიროვნების ხელშეუხებლობას**“.

გამომცემელი **რახილ კალანდაძე.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. **,,სორაპანი''** მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკის, № 1.